

რუხი-ყავისფერი - Graue zimtfarbene Böden

რუხი-ყავისფერი ნიადაგების საერთო ფართობი შეადგენს 180.870 ჰა (2,7 %). გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში; ესაზღვრება ყავისფერ, შავ, მდელოს-რუხ-ყავისფერ ნიადაგებს. რუხი-ყავისფერი ნიადაგების ძირითადი დიაგნოსტიკური მახვენებლებია არადიფერენცირებული, ჰუმუსიანი და კარბონატული პროფილის შედარებით გაჭიმულობა, პროფილის შუა ნაწილში კარგად გამოხატული გათიხება და ზედაპირიდან კარბონატების არსებობა. ნიადაგურ პროფილს ხვეულებრივ შემდეგი აგებულება აქვს: $A_1^1-A_1^{11}$ - $AB-B_{1(ca)}-B_{2(ca)}$ - C_1-C_2 . რუხი-ყავისფერი ნიადაგები ხასიათდება ტუტე რეაქციით, ჰუმუსის მცირე შემცველობით, მთელი პროფილის გათიხებით, ჰიგროსკოპული წყლის მაღალი შემცველობით, მოცულობითი წონით 1,36-1,45 ფარგლებში, შთანთქმის მაღალი ტევადობით. ნიადაგები საშუალოდ უზრუნველყოფილია (0-10) ან ღარიბია (10-20) ჰიდროლიზებადი აზოტით, ღარიბია შთანთქმული ფოსფორით და გაცვლითი კალიუმით. არსებობს წყლისმიერი და ქარისმიერი ეროზიის საშიშროება.

Graue zimtfarbene Böden findet man auf 1808,7 qkm (2,7% Georgiens). Diese Böden sind verbreitet im Süd-Ostteil von Ostgeorgien. Sie sind vergesellschaftet mit zimtfarbenen Böden, Schwarzerden und grauen zimtfarbenen Wiesenböden. Hauptdiagnostische Merkmale sind: Ein wenig differenziertes Profil, mit tiefreichenden humosen und carbonatischen Profiltteilen, deutliche Anreicherung von Ton in der Profilmittle und dem Auftreten von Karbonaten von der Oberfläche an. Das Bodenprofil hat oft folgenden Aufbau: $A_{11}-A_{111}$ - $AB-B_1(ca)-B_2(ca)$ - C_1-C_2 . Graue zimtfarbene Böden sind charakterisiert durch eine alkalische Reaktion, einen niedrigen Gehalt an Humus, karbonatisch, Tonanreicherung im gesamten Profil, einen hohen Gehalt an hygroskopischem Wasser, eine Lagerungsdichte zwischen 1,36-1,45 g/ccm, eine hohe Absorptionskapazität. Die Böden sind mittel (0-10cm) und arm (10-20cm) mäßig versorgt an hydrolyisierbarem Stickstoff, sind schwach versorgt mit mobilem Phosphor und austauschbarem Kalium. Es existiert die Gefahr der Wasser- und Winderosion.

